



## ASOLIN-SFC45

არტ.-No. 2 01247

### ღრმად შეღწევადი ჰიდროფობური ფასადის კრემი

#### მასსაიათებლები:

- მზად არის გამოყენებისთვის.
- მიღწევა ძალიან კარგი წყალგამძლე ეფექტი.
- შეღწევის ოპტიმალური მაჩვენებელი.
- შრება არაწებოვან მდგომარეობაში.
- წყლის ორთქლ-შეღწევადი.
- აუმჯობესებს აგრესიული გარემოს მიმართ მდგრადობას.
- გამოირჩევა ცინკისა და მოყინვის საწინააღმდეგო მარილების მიმართ მდგრადობის მაღალი ხარისხით.
- ისმება შესხურებით, როლით ან ქაფით.
- არის განსაკუთრებით სუფთა და თითქმის არ აქვს ხარჯი მოხმარებისას.

#### გამოყენების არეალი:

ASOLIN-SFC45 გამოიყენება როგორც წყალგამძლე გამწვანეთი, ფოროვანი აგურის, კლინკერის, ბუნებრივი ქვის, კირქვიანი ქვიშის ბლოკების, მინერალური საფუძვლის ბათქაშისა და ბეტონის ქვენაფენი შრეებიანი ვერტიკალური ან ციკაბო ზედაპირებისთვის. აღნიშნული მასალა შესაბამის ინტერიერში ჯაჭვური რეაქციებით ქმნის ძლიერ წყალგამძლე ბარიერს.

#### ტექნიკური მონაცემები:

საფუძველი:	სილიციუმწყალბადის კრემი
ფერი:	ანტიკური თეთრი (გამჭვირვალე გაშრობის შემდეგ)
სიმკვრივე:	დაახლ. 0.84 კგ/ლ
კონსისტენცია:	ნაღების მაგვარი, მაზის მსგავსი
მოხმარება:	დამოკიდებულია ქვენაფენ შრეზე, დაახლ. 0.1 – 0.2 ლ/მ <sup>2</sup>
ქვენაფენი შრის ტემპერატურა/ ტემპერატურა გამოყენებისას:	+5 °C -დან +35 °C-მდე
გასუფთავება:	გასუფთავეთ წყლით სანამ გაშრება
შეფუთვა:	2.5 ლიტრიანი, 10 ლიტრიანი, 20 ლიტრიანი კონტეინერები
შენახვა:	არ იყინება, 12 თვე თავდაპირველ გაუხსნელ კონტეინერში. გამოიყენეთ გახსნილი კონტეინერები მალევე.

#### ქვენაფენი შრის მომზადება:

გასაუფლნთი ქვენაფენი შრე უნდა იყოს მშრალი, მთელი, ტვირთის მატარებელი, ღია-ფოროვანი, სუფთა და არ უნდა შეიცავდეს ისეთ გამაცალკეველ ნივთიერებებს, როგორცაა ზეთი, ცხიმი, ხავსი, წყლის მცენარეები თუ სხვა დამზინებლები. თითოეულ შემთხვევაში, საჭიროა ქვენაფენი შრის პროფესიული შესწავლა და მომზადება. უზრუნველყოფილი უნდა იქნას, რომ მამი გახსნილი წყალი და მარილები ვერ შეაღწევს ჰიდროფობური ზონის უკანა მხრიდან.

#### გამოყენების მეთოდი:

წაუსვით ASOLIN-SFC45 შესაბამისი შესასხურებელი მოწყობილობით (მაგ. უჰაერო შესასხურებლით), ფუნჯით, ბატკნის ბეწვის როლით. მასალა იგება სწორ, თეთრ და ღუნვაგამძლე ზოლად, სასურველ სისქეზე. ეს ზოლი ქვენაფენ შრეზე შეიმჩნევა დაახლოებით 10-30 წუთის განმავლობაში და გარდაიქმნება სუფთა ჟელედ ამ დროის განმავლობაში. აღნიშნული პროცესის დასრულებას, შეიძლება, დაჭირდეს რამდენიმე საათი, რაც დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე. ASOLIN-SFC45-ს, ქვენაფენი შრის გაყენების მიხედვით, გააჩნია მსუბუქიდან ინტენსიურამდე ფერის მიმცემი ეფექტი, რომელიც შეიძლება, იყოს გარდამავალი ან ხანგრძლივი. გირჩევთ, რომ შეირჩეს შესაბამისი საცდელი ადგილი.

#### მნიშვნელოვანი რეკომენდაცია:

- დაიცავით ის ადგილები, რომლებიც არ მუშავდება ASOLIN-SFC45-ით. დაიცავით და დაფარეთ მომიჯნავე ზედაპირები და საშენებლო კომპონენტები, რომლებზე არ ისმება აღნიშნული მასალა, მაგალითად: ფანჯრები, კარები, ნისი ადგილები და მცენარეები.
  - გამოყენებისას, უკვე ჰიდროფობური ადგილების გასაახლებლად, საჭიროა ტესტირების ჩატარება, რათა გამოირიცხოს შესაძლო ჯაჭვური რეაქციები არსებულ ჰიდროფობურ მასალასთან.
  - არ წაუსვით წვიმის ან წვრილი წვიმის დროს.
- გთხოვთ, დაიცვათ ევროკავშირის ამჟამად მოქმედი უსაფრთხოების ნორმები.